

ლევან კახიშვილი<sup>1</sup>

ეპროპის პოლიტიკური პარტიების  
ფედერაციებში ქართული პარტიების  
სრციალიზაციის ეფექტები



**National Endowment  
for Democracy**  
*Supporting freedom around the world*



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი  
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია, რომელიც 2011 წლის დასაწყისში დაარსდა. GIP ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით. ორგანიზაციის მიზანია, გახდეს კვლევებისა და პოლიტიკური ინიციატივების წამყვანი ცენტრი საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონში და საკუთარი წვლილი შეიტანოს რეგიონული თანამშრომლობის განვითარებისა და პოლიტიკური სტაბილურობის მისაღწევად. 2013 წლიდან საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი არის ეუთოს აკადემიური ინსტიტუტებისა და ანალიტიკური ორგანიზაციების ქსელის წევრი, ხოლო 2018 წლიდან კი EU-LISTCO-ს კონსორციუმის წევრი, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის “ჰორიზონტი 2020-ის” პროგრამის ფარგლებში.

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადებულია ნაციონალური ფონდი დემოკრატიისთვის (NED) ფინანსური მხარდაჭერით. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის და ნაციონალური ფონდი დემოკრატიისთვის შეხედულებებს.

#### **დოკუმენტის ციტირების წესი:**

ლევან კახიშვილი. „ევროპის პოლიტიკური პარტიების ფედერაციებში ქართული პარტიების სოციალიზაციის ეფექტები“, პოლიტიკის დოკუმენტი №6, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ოქტომბერი 2018.

თავდაპირველად გამოქვეყნდა – 28 სექტემბერი, 2018  
გამოქვეყნდა განახლებული სახით – 28 ოქტომბერი, 2018

## სპეციალური

შესავალი.....	4
იდეოლოგიური პროფილის დახვეწა.....	6
ცოდნაზე ხელმისაწვდომობა და პარტიული პოლიტიკის „ნოუ-ჰაუს“ გადაცემა.....	10
შიდა ლეგიტიმაცია და საერთაშორისო აღიარება.....	13
შიდა კონკურენციასა და თანამშრომლობაში დახმარება.....	18
დასკვნა.....	19
ბიბლიოგრაფია.....	21

## შესაბამის

ფუნქციონირებადი პარტიული პოლიტიკის სისტემის მშენებლობა კომპლექსური პროცესია, რომელზეც რამდენიმე ფაქტორი ახდენს გავლენას. თავის მხრივ, პარტიული პოლიტიკის ბუნებასაც აქვს დემოკრატიზაციის პროცესის ფორმირებაზე გავლენა. რაც იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკური პარტიების სისტემის სათანადო საფუძვლის გარეშე წარმოუდგენელია, საქართველომ კონსოლიდირებულ დემოკრატიას მიაღწიოს. წინამდებარე ნაშრომი ფოკუსირდება ქართულ პარტიულ პოლიტიკაზე და იმაზე, თუ ევროპული პარტიების ფედერაციებთან (შემდგომში „ევროპარტიები“) ურთიერთობა რა გავლენას ახდენს ქართულ პოლიტიკურ პარტიებზე. კვლევის მიზანი ქართულ პარტიებსა და ევროპარტიებს შორის კავშირების გაანალიზებაა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კითხვას: ევროპარტიებთან პარტნიორობა გავლენას ახდენს თუ არა ქართული პარტიების პოლიტიკური პლატფორმების და ქვეყანაში ევროპეიზაციისა და დემოკრატიზაციის საკითხების დღის წესრიგების ფორმირებასა ან განვითარებაზე და როგორ? აგრეთვე, წინამდებარე ნაშრომი, იკვლევს თუ რამდენად აქვთ ქართულ პარტიებს თანმიმდევრული პოლიტიკური დღის წესრიგი, რათა ისინი ევროპის დონეზე წაახალისონ და რამდენად იქცევიან ისინი ასე.

ქარული პოლიტიკური პარტიები ოთხი სხვადასხვა ევროპული პარტიების ფედერაციების წევრები ან მათთან აფილირებულები არიან: ევროპის სახალხო პარტია (EPP), ევროპის სოციალისტური პარტია

(PES), ლიბერალების და დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის (ALDE) და ევროპის კონსერვატორებისა და რეფორმისტების ალიანსი (ACRE). საქართველოს რესპუბლიკური პარტია და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (UNM) პირველი ქართული პარტიებია, რომელიც შესაბამისად 2007 წლიდან ევროპარტია ALDE-სთან<sup>2</sup>, ხოლო 2008 წლიდან EPP-სთან არიან აფილირებულებნი. მოგვიანებით, სხვა ქართულმა პარტიებმაც გაიმეროს იგივე: 2012 წელს თავისუფალი დემოკრატები შეუერთდნენ ALDE-ს, ხოლო ქართულმა ოცნებამ ევროპის სოციალისტურ პარტიაში (PES) დამკვირვებლის სტატუსი მიიღო; 2014 წელს საქართველოს კონსერვატიული პარტია ACRE-სთან აფილირებული პარტია გახდა, დაბოლოს, 2017 წელს მოძრაობა თავისუფლებისთვის – ევროპულმა საქართველომ EPP-ში მოიპოვა დამკვირვებლის სტატუსი. ევროპარტიების წევრობა პირობითია და ამ პარტიის წარმომადგენლების მიერ ჩატარებული ფაქტების დამდგენი მისიების შედეგებზეა დამოკიდებული, რომელიც, თავის მხრივ, აპლიკანტი პარტიის იდეოლოგიური ორიენტაციის კონკრეტული ევროპარტიის იდეოლოგიურ პოზიციებთან შესაბამისობას აფასებს. თუმცა, ძირითადად ეს პროცესი ფორმალობაა რადგან, როგორც ჩანს, აპლიკაციის პროცედურაში გადამწყვეტ როლს მაინც ინტერპერსონალური კავშირები თამაშობს. ნაკლებ მოსალოდნელია აპლიკაციის მიღება პარტიისგან, რომელიც ამ თუ იმ ევროპარტიის იდეოლოგიასთან შეუსაბამოა. თუმცა, აღნიშნული იდეოლოგიური ორიენტაციები თითეული ქვეყნის კონ-

<sup>1</sup> ლევან კახიშვილი საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსია.

<sup>2</sup> ALDE ერთადერთი ევროპარტია, რომელიც ევროკავშირის ფარგლებს გარეთ დაფუძნებულ პოლიტიკურ პარტიებს სრულ წევრობას ანიჭებს.

ტექსტში, ცალკეული შემთხვევის მიხედვით უნდა გაანალიზდეს, რადგან ლიბერალიზმი, სოციალიზმი, კონსერვატიზმი და სხვა სხვადასხვა ქვეყნანაში სხვადასხვანაირად ესმით. ინტერპერსონალური კავშირების მნიშვნელობაზე მიუთითებს, ერთი მხრივ, EPP-ში ახალი მემარჯვენების გაწევრიანებაზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სავარაუდო არაფორმალური ვეტო.<sup>3</sup> ხოლო, მეორე მხრივ, ევროპულმა საქართველომ EPP-სთან აფილირება მარტივად მოიპოვა, სავარაუდო, იმ ფაქტის გამო, რომ ევროპული საქართველოს ლიდერებს, ჯერ კიდევ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრობის დროს ჰქონდათ EPP-სთან პირადი კონტაქტები დამყარებული. ამან ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ევროპული საქართველოს წევრობის დაბლოკვა შეუძლებელი გახდა.

ევროპარტიებსა და ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთობების შესწავლა, კვლევის შედარებით ახალ სფეროს წარმოადგენს. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ პარტიებზე ევროპარტიების გავლენა, მაშინ როცა ევროკავშირის პირობითობის პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი „ჯილდო“ – კავშირის წევრობა იყო, ფართოდ არის შესწავლილი. აღნიშნული გავლენა ზოგჯერ დადებითი იყო, ცალკეულ შემთხვევებში კი მას არა თანმიმდევრული მემარცხენე-მემარჯვენე კონკურენციისკენ, არამედ იმ მდგომარეობისკენ მივყავდით, სადაც „ყველა პარტიას ერთი გაცხადებული მიზანი აქვს, თუმცა სასურველი პოლიტიკის მისაღწევად ერთმანეთის კომპეტენციაზე კა-

მათობენ“.<sup>4</sup> მეორე მხრივ, სათანადოდ არ არის გამოკვლეული, თუ რატომ შეიძლება სურდეთ ევროპარტიებს ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების ადგილობრივ პარტიებთან თანამშრომლობა. მარია შაგინას<sup>5</sup> თანახმად, ურთიერთთანამშრომლობისთვის მოტივაცია ორივე მხარეს გააჩნია. ევროპარტიებისთვის ეს მოტივაცია თავიანთი ნორმებისა და ლირებულებების გავრცელება და შესაბამისი პოლიტიკების წახალისებაა. აგრეთვე, ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების ადგილობრივ პარტიებთან ურთიერთობით, ევროპარტიები და ევროპარლამენტარები უფრო მეტად ინფორმირებულნი ხდებიან და საგარეო პოლიტიკის აგენტების როლშიც გვევლინებიან. რაც შეეხება ადგილობრივ პოლიტიკური პარტიებს, ევროპარტიებთან მათ ურთიერთობას უფრო კომპლიქსური სტრუქტურა აქვს. მარია შაგინა განსაზღვრავს ხელშესახებ ანუ პოლიტიკურ და არახელშესახებ ანუ სოციალურ და სიმბოლურ სტიმულებს, რომლებიც ექვსი ტიპისაა: უკეთესი ხელმისაწვდომობა, ცოდნა და დახმარება ევროკავშირისგან; შიდა ლეგიტიმაცია; საერთაშორისო აღიარება; ევროინტეგრაციის ლობირების ირიბი შესაძლებლობა; პარტიის იდეოლოგიური პროფილის დახვეწა; დაბოლოს, შიდა დონეზე მათი ქმედებების პოლიტიკური მხარდაჭერა. წინამდებარე ნაშრომი, კვლევის რამდენიმე მეთოდს იყენებს, მათ შორის სიღრმისეული ინტერვიუებს, ექსპერტთა გამოკითხვას, საზოგადოებრივი აზრის კვლევას, პარტიული დოკუმენტაციის გაანალიზებას (როგორიცაა მანიფესტები და წესდებები) და ასევე, საქართველოს შემთხვევის და ქართულ პარტიებსა და ევროპარტიებს შორის ურთიერთობის ანალიზს.

<sup>3</sup> Lavrelashvili, Teona. 2017. Georgian parties and the “Euro-Parties” cooperation, achievements and challenges. Rondeli Foundation. ხელმისაწვდომია: <https://www.gfsis.org/blog/view/770>

<sup>4</sup> Innes, Abby. 2002. Party competition in postcommunist Europe: The great electoral lottery. Comparative Politics, Vol. 35, No. 1, pp.: 85-104.

<sup>5</sup> Shagina, Maria. 2014. The incentive structure of cooperation between the Europarties and the non-EU parties. Paper prepared for the 23rd World Congress of Political Science, IPSA. July 19-24, 2014, Montréal, Canada.

## იდეოლოგიური პროცესის დანართი

იდეოლოგია პოლიტიკური პარტიების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია. იმის მიხედვით, თუ რა იდეოლოგიას მიჰყება პარტია, კონკრეტული საკითხისა თუ პრობლემისადმი მისი პოზიციის მთელი სპექტრის აღწერაა შესაძლებელი. დასავალეთ ევროპის შემდგარ დემოკრატიებში მიიჩნევა, რომ პოლიტიკური იდეოლოგიები სოციალური გამყოფი ხაზების გასწვრივ აღმოცენდნენ, რომლებიც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ურთიერთგამომრიცხავი ინტერესების გამოხატულებას წარმოადგენდნენ.<sup>6</sup> თუმცა, პოსტკომუნისტურ საზოგადოებებში, როგორიცაა საქართველო, საბჭოთა წყობის შვიდმა ათწლეულმა აღნიშნული სოციალური გამყოფი ხაზები, დიდწილად, მოსპო და მათ ნაცვლად ახალი განხეთქილებები წარმოქმნა. შესაბამისად, პოლიტიკურ პარტიებს თავიანთი იდეოლოგიების კონკრეტული საზოგადოებრივი დანაყოფების გვერდით კონსოლიდაციის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. ნაცვლად ამისა, ისინი, როგორც წესი, ქარიზმატული მახასიათებლების მქონე პიროვნებების გარშემო მობილიზდებოდნენ.<sup>7</sup> ასეთი პოლიტიკური პარტიები, ზოგჯერ კლიენტისტურ პარტიებად ტრანსფორმირდებოდნენ, რომელიც საზოგადოების მობილიზებას მატერიალური თუ არამატერიალური პირდაპირი სარგებლის, როგორც არჩევნებში გამარჯვების შედეგის დაპირებით ახდენდა.<sup>8</sup> მეორე მხრივ, პოსტსაბჭოთა ჰიბრიდულ თუ ავტორიტარულ რეჟიმებში პოლიტიკურმა პარტიებმა

საკუთარი იდეოლოგიური პოზიციების კონსოლიდაცია ამ დრომდე ვერ შეძლეს და ვერ ჩამოყალიბდნენ თანმიმდევრულ პროგრამატულ პარტიებად.<sup>9</sup>

პროგრამატული პარტიების ფორმირება, ან სულ მცირე, ქართული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური პოზიციების დახვეწაში წვლილის შეტანა, ქართულ და ევროპარტიებს შორის ურთიერთობის ერთ-ერთი შესაძლო შედეგია. ევროპარტიების თანახმად, დამკვირვებელი, ასოცირებული ან წევრი პარტიები შესაბამისი ევროპარტიის იდეოლოგიურ პოზიციასთან უნდა მოდიოდნენ თანხვედრაში. თუმცა, რამდენადაც საქართველოში პოლიტიკურ პარტიებს თანმიმდევრული იდეოლოგია არ აქვთ და ხშირად, მათ მიერ გაცხადებული იდეოლოგიური მიმართულება არჩევნების წინ გაუღერებულ დაპირებებთან არ მოდის შესაბამისობაში, ევროპარტიებთან ურთიერთობა ქართული პოლიტიკური პარტიებისთვის, შესაძლოა, სასარგებლო ინსტრუმენტი იყოს, იმისათვის, რომ ადგილობრივ დონეზე, კონკრეტულ საკითხებზე სულ მცირე ბუნდოვნად მაინც ჩამოაყალიბონ საკუთარი პოზიციები.

მეინსტრიმული ქართული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური წყობის გასაგებად ექსპერტთა გამოკითხვა ჩატარდა. ექსპერტთა გამოკითხვის მიგნებები სამი ყველაზე დიდი პარტიის (ევროპარტიების

<sup>6</sup> იხ: Lipset, Seymour Martin, and Rokkan, Stein. 1990. Cleavage structures, party systems, and voter alignments. In Peter Mair (ed.).The West European Party System. Oxford: Oxford University Press. Pp. 91-111.

<sup>7</sup> იხ: Kitschelt, Herbert. 1995. Formation of party cleavages in post-communist democracies: Theoretical propositions. Vol 1. No.4 pp.: 447-472.


<sup>8</sup> იხ: Kitschelt, Herbert. 1995. Formation of party cleavages in post-communist democracies: Theoretical propositions. Vol 1. No.4 pp.: 447-472.

<sup>9</sup> იხ:Kakhishvili, Levan. 2017. Is democracy possible without stable political parties? Party politics in Georgia and prospects for democratic consolidation. Tbilisi: Georgian Institute of Politics. ხელმისაწვდომია: <http://gip.ge/6401/>

წევრები) გაცხადებულ იდეოლოგიას აჩვენებს. ექსპერტთა შეფასებით ქართული ოცნება მემარცხენე იდეოლოგიისკენ, ხოლო ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და მოძრაობა თავისუფლებისთვის-ევროპული საქა-

რთველო მემარჯვენეობისკენ იხრებიან (იხილეთ გრაფიკი 1). აღნიშნული ადასტურებს, რომ ეს სამი პარტია მართლაც იმ ევროპულ პარტიებთან არიან ფედერაციაში, რომელებთანაც მსგავს იდეოლოგიას იზიარებენ.


გრაფიკი 1: საქართველოში პარტიული წყობის გადანაწილება ორგანზომილებიან სივრცეზე.



მოცემული სურათი საიტერესო დაკვირვებას გვთავაზობს. გამოკითხული ექსპერტების მიერ მემარჯვენეობისკენ გადახრილი ყველა პარტია უფრო მეტად ლიბერტანიანული, ხოლო ყველა მემარცხენეობისკენ გადახრილი პარტია უფრო მეტად ავტორიტარულად შეფასდა. თუმცა, უცნობია, არსებობს თუ არა რაიმე მახასიათებელი, რომელიც სპექტრის რომელიმე მხარეს ყოფნას უკავშირდება, და მემარცხენეობასა და ავტორიტარულობას შორის კორელაციას ახსნიდა. ეს შესაძლოა, შემდგომი კვლევების თემა იყოს. იდეოლოგიური პოზიციის მეორე მნიშვნელოვანი ასპექტია კონკრეტული საკითხების მნიშვნელობის ხარისხი. კონკრეტულ პრობ-

ლემებთან მიმართებაში პარტიების პოზიცია იმას მიუთითებს, პოლიტიკური პარტია მარცხნივ იხრება თუ მარჯვნივ და ლიბერტანულია თუ ავტორიტარული. საკითხების ანუ პრობლემების მნიშვნელობის ხარისხი იმის ინდიკატორია, თუ არსებული მდგომარეობის რა ასპექტი არის პოლიტიკური პარტიის მიერ პრობლემიზირებული. აღნიშნული შექსება იმას, თუ რა სახის პრობლემების გადაჭრა სურთ პარტიებს და რა სახის პოლიტიკებს სთავაზობენ ისინი თავი-ათ ამომრჩევლებს. საკითხების მნიშვნელობის ხარისხის შესაფასებლად ეკონომიკა და ტრადიციული ლირებულებები იქნა გამოკვლეული (იხილეთ გრაფიკი 2).

გრაფიკი 2: ტრადიციული ღირებულებებისა და ეკონომიკის მნიშვნელობის ხარისხი ქართული პოლიტიკური პარტიებისთვის.



მოცემული გრაფიკიდან ჩანს, რომ გამოკითხული ექსპერტების თვალსაზრისით საქართველოში სამი პარტიაა, რომელიც ტრადიციული ღირებულებებს უფრო მაღალ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე ეკონომიკის. სამივე პარტია მემარცხენეობისკენ გადახრილი პარტიაა, მათ შორის, ერთ-ერთი მმართველი პარტია – ქართული ოცნებაა. მეორე ჯგუფში შედიან პარტიები, რომლებიც ეკონომიკურ საკითხებს ტრადიციულ ღირებულებებზე მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ. ესენია: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ევროპული საქართველო და ლეიბორისტული პარტია. ეს უკანასკნელი გამონაკლისს წარმოადგენს და ტენდენციას არღვევს, თუმცა, სხვა მხრივ დანარჩენ პოლიტიკურ პარტიებთან შეთავსებადია. აქ

ერთი მნიშვნელოვანი დაკვირვება იქნებოდა, ქართული ოცნების მიერ ეკონომიკურ საკითხებზე მეტად ტრადიციული ღირებულებებისთვის პრიორიტეტის მცირედ გადაჭარბებულად მინიჭება. აღნიშნული ზუსტად არ ასახავს მემარცხენეობისკენ მიდრეკილი ძირითადი პოლიტიკური პარტიების საკითხების მნიშვნელობის ხარისხს ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია და დიდი ბრიტანეთი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია და ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიები ტრადიციულ ღირებულებებზე მეტად (ზუსტად 3 ქულით) უპირატესობას ეკონომიკას ანიჭებენ.<sup>10</sup>

აღსანიშნავია, რომ როგორც წესი, ევროპარ-

<sup>10</sup> Chapel Hill Expert Survey. 2014. მონაცემები ხელმისაწვდომია აქ: <https://www.chesdata.eu/ches-stats/> ნინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებული ექსპერტთა გამოკითხვის მოდელად ჩატელ ჰილის ექსპერტული გამოკითხვა იქნა აღებული. შესაბამისად, შედეგების შედარება მნიშვნლოვანი ნაკლოვანებების გარეშე იქნება შესაძლებელი.

ტიები თავიანთ წევრებს არ მიუთითებენ რა პოზიციები უნდა დაიკავონ მათ ან რა პოლიტიკები უნდა განავითარონ. ასევე, ევროპარტიები წინასაარჩევნო პროგრამების შედგენაშიც არ მონაწილეობენ. ამიტომ, შიდა ასპარეზი თითქმის მთლიანად ინდივიდუალური პარტიების სათამაშო მოედანია და ფედერაციები მათში არ ერთვებიან. საერთო იდეოლოგიურ პოზიციებთან შეუსაბამობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საკითხების მნიშნელობის ხარისხებს შორის განსხვავება. შესაბამისად, ადგილობრივ პარტიაზეა დამოკიდებული, უნდა თუ არა მას ფედერაციის შიგნით მყოფი უფრო გამოცდილი კოლეგებისგან გადმოიღოს საკითხების მნიშვნელობის ხარისხის სტრუქტურა. სხვა მხრივ, სოციალიზაციის პროცესი ისეთია, რომ ნორმების და ღირებულებების გადაცემა მაშინაც კი მოხდება, თუკი აქტორებს ამის განზრახვა არ აქვთ. ამდენად, ამ თეორიულ დაშვებაზე დაყრდნობით, შესაძლებელია არსებობდნენ ადგილობრივი პარტიები, რომლებიც ევროპარტიებისგან ხელშესახებ სარგებელს უფრო აქტიურად ეძებდნენ, ვიდრე ნორმებისა და ღირებულებების გაზიარებას.

შეიძლება იმის მტკიცება, რომ ევროპარტიებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ქართული ოცნების იდეოლოგიური პოზიციების ჩამოყალიბებაზე. 2012 წელს პოლიტიკურ მოძრაობად ჩამოყალიბებული ქართული ოცნება 12 ძირითად პრინციპს ეყრდნობდა, რომელთა უმრავლესობა თავისი არსით სუფთად პოლიტიკური იყო და ეკონომიკურ საკითხებს მხოლოდ ორი მათგან უკავშირდებოდა.<sup>11</sup> ეკონომიკასთან დაკავშირებული პირველი პრინციპი იყო უმუშევრობის და სილარიბის დაძლევა, მცირე და საშუალო ბიზნესების და სოფლის მეურნეობის განვითარებით, საკუთრების და შრომის უფლებების დაცვისა და საქართველოს მსოფ-

ლიო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაციის გზით. მეორე პრინციპი კი, სოციალური სოლიდარობის სისტემის შექმნა იყო, რომელიც შრომისუუნაროთათვის ღირსეულ საცხოვრებელ პირობებს უზრუნველყოფდა. აღნიშნული ორი პრინციპი, შესაძლოა, მემარცხენეობისაკენ მიღრეკილი პოლიტიკური პარტიის საწყისად მივიჩნიოთ. თუმცა შესაძლებელია ისიც, რომ სხვა ორი ფაქტორი – ოპოზიცია ნაციონალურ მოძრაობასა და მათი EPP-ს წევრობასთან მიმართებაში – იყო ის, რაც სინამდვილეში განსაზღვრავდა ქართული ოცნების იდეოლოგიურ პოზიციას. ასეთ შემთხვევაში ცხადია, ქართულ ოცნებას ნაციონალური მოძრაობისგან განსხვავებული პოლიტიკები უნდა შემოეთავაზებინა ამომრჩევლისთვის.

თავდაპირველად, ქართული ოცნება სხვადასხვა, თითქმის, ურთიერთგამომრიცხავი იდეოლოგიების მქონე პოლიტიკური პარტიების კოალიცია იყო. ქართული ოცნების იდეოლოგიის ფორმირების განხილვა, პარტიის წევრებსა და ევროპარლამენტის წევრებს შორის გაჩაღებული ე.წ. „წერილების ომის“ ხსენების გარეშე წარმოუდგენელია.<sup>12</sup> ქართული ოცნების, როგორც პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებიდან ერთი წლის შემდეგ, ევროპარლამენტის 23 წევრმა – მათ შორის EPP-დან 19-მა – იმდროინდელ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს გაუგზავნა წერილი, სადაც მას საქართველოს ევროპისგან დაშორებაში ადანაშაულებდნენ. ამ ბრალდებებს დავით უსუფაშვილმა, იმ დროისთვის პარლამენტის თავმჯდომარემ, უპასუხა, რომელსაც, თავის მხრივ, ALDE-სთან ჰქონდა კავშირები. აღნიშნულმა ინციდენტმა, შესაძლოა, მოტივაცია მისცა ქართულ ოცნებას, მოეძებნათ ფედერაცია, რომელიც ამგვარ თავდასხმებთან გამკლავებას შეძლებდა. ასეთი პარტიის

<sup>11</sup> Civil Georgia. 2012. კოლიცია „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი დეკლარაცია. ხელმისაწვდომია: <https://old.civil.ge/geo/article.php?id=25137&search=>

<sup>12</sup> Shagina, Maria. 2014. The incentive structure of cooperation between the Europarties and the non-EU parties. Paper prepared for the 23rd World Congress of Political Science, IPSA. July 19-24, 2014, Montréal, Canada.

კი ევროპის სოციალისტური პარტია (PES) აღმოჩნდა. ე.წ. „წერილების ომს“ აღნიშნულ პარტიასთან არაფორმალური მოლაპარაკებების დაწყება მოჰყვა შედეგად. შესაბამისად, PES-თან თავსებადობის მიზნით, ქართული ოცნების იდეოლოგიური პოზიცია უნდა ჩამოყალიბებულიყო, როგორც მემარცხენე-ცენტრისტული. შესაძლოა, სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, თუ რატომ მოახდინა პარტიის წესდების განახლება ქართულმა

ოცნებამ და თავი მემარცხენე-ცენტრისტულ პოლიტიკურ პარტიად განსაზღვრა. ამ ინციდენტს სხვა მნიშვნელოვან ასპექტამდეც მიუყავართ, ეს არის შიდა ლეგიტიმაცია ან საქმიანობის მხარდაჭერა და აგრეთვე, საერთაშორისო აღიარება. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხები მარია შაგინამ ცალკეულ სტიმულებად განსაზღვრა, ისინი ერთმანეთზე მჭიდროდ არის გადაჯაჭვული და მათი ცალ-ცალკე განხილვა შეუძლებელია.

## ცოდნაზე ხელმისაწვდომობა და პარტიული პოლიტიკის «ნეუ-ჰაუს» გადაცემა

იდეოლოგია და იმ ღირებულებების გაზიარება და დასწავლა, რომელიც იდეოლოგიებიდან მომდინარეობს, ევროპარტიებსა და ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთობის მხოლოდ ერთი ნაწილია. უფრო მნიშვნელოვანი განზომილება – ან ის, რომელიც პრაქტიკაში ყველაზე ინტესნიურად გამოიყენება – შიდა ასპარეზზე გავლენის მოხდენის საკითხს ეხება. ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქართული პოლიტიკური პარტიებისთვის, განსაკუთრებით ნაციონალური მოძრაობისა და ევროპული საქართველოსთვის, ევროპული პარტიების ალიანსში მათი წევრობის მმართველ პარტიაზე გავლენის მოსახდენად გამოყენებაა მნიშვნელოვანი. ევროპის სახალხო პარტიის წევრობა ქართული ოპოზიციური პარტიების მიერ ევროპაში პოლიტიკური მხარდაჭერის მობილიზების ინსტრუმენტად ხშირად გამოიყენება. მეტიც, სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ევროპარტიებიც არიან დაინტერესებულნი, რომ წევრების საშინაო ასპარეზზე მხარდასაჭერად თავიანთი გავლენა გამოიყენონ, რადგან სურთ, რომ ევროკავშირის საგარეო ურთიერთობებში აქტორების როლი მოირგონ და ასე გაზარდონ საკუთარი გავლენა. ამგვარად, აღნიშნული პროცესი ორივე მხარისთვის მომგებიანად გამოიყურება.

თუმცა, მეორე მხრივ, არსებობს რო-

გორც გამოწვევები, ასევე შესაძლებლობები. ეს უკანასკნელი ევროპული პარტიების ალიანსებში წევრობის ეფექტურად გამოყენებას უკავშირდება. ეს ალიანსები ცოდნისა და გამოცდილების მიღების ფართო წყაროს წარმოადგენენ, რომელიც შესაძლებელია ნებისმიერმა იმ წევრმა, დამკვირვებელმა თუ ასოცირებულმა პარტიამ გამოიყენოს, რომელიც ინსტიტუციურად მათი ევროპელი კოლეგების დონეზე არ არიან განვითარებულნი. ამდენად, შესაძლებელია, რომ ქართული პარტიებისთვის მოეწყოს სასწავლო ვიზიტები, ტრენინგები, კონსულტაციები და სხვა, იმდენად რამდენადაც ამის სურვილი და შესაბამისი ფინანსური რესურსები არსებობს. რაც შეეხება გამოწვევებს, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე სამეცნიერო ლიტერატურა ხშირად ამტკიცებს, რომ ამ ქვეყნებში პარტიულ პოლიტიკურ სისტემას ევროპულმა ინტეგრაციამ ზიანი მიაყენა, რადგან შიდა აქტორები ევროკავშირის პირობითობის პოლიტიკის ფარგლებში მათთვის მიცემულ ინსტრუქციებს მიჰყებოდნენ, პარტიულ პოლიტიკაში სოციალური გამყოფი ხაზები წაიშალა და მხოლოდ ერთი განზომილება აღმოცენდა, რომლის გასწვრივაც განლაგდნენ პარტიები: ევროპული ინტეგრაციისკენ თუ მის წინააღმდეგ ყოფნა. ამ ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ქართულმა პოლიტიკურმა პარ-

ტიებმა თავდაპირველად, შეიმუშავონ თანმიმდევრული იდეოლოგიები და პროგრამები, და ამავდროულად, შეინარჩუნონ უნიკალურობა, როგორც შიდა ასევე ევროპულ დონეზე.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთმა რესპონდენტმა პარტიულ პოლიტიკაში ევროპარტიების მიერ დაგროვებულ ცოდნასა და გამოცდილებას სტრატეგიული მნიშვნელობა მიანიჭა. აღნიშნული რესპონდენტის თანახმად, ევროპარტიებსა და ადგილობრივ პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთობები, როგორც ის უნიდებს „პარტიული პოლიტიკის ნოუ-ჰეის“ ტრანსფერზე უნდა დამყარდეს. „ნოუ-ჰეის“ მოიცავს იმასაც, რასაც შაგინა<sup>13</sup> უნიდებს არა მხოლოდ პარტიების იდეოლოგიურ პოზიციების დახვენას, არამედ ასევე ინფორმაციაზე წვდომას და ცოდნის გადაცემას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს პოლიტიკური კავშირის ორგანიზება ისე, რომ ის გამჭირვალე, დემოკრატიული და ინსტიტუციურად სტაბილური იყოს. ქართული პოლიტიკური პარტიების შიდა დემოკრატიასა და ინსტიტუციურ სიძლიერეს წარსულში აკრიტიკებდნენ და ამ სფეროებში განვითარების საჭიროებას თავად პარტიებიც აღიარებენ.<sup>14</sup> საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა („ქართული ოცნება“) განაცხადა, რომ ქართულმა ოცნებამ ვერ შეძლო, რომ ინსტიტუციურად აღმოცენებულიყო როგორც პოლიტიკური პარტია.<sup>15</sup> აღნიშნული მიანიშნებს, რომ „პარტიული პოლიტიკის ნოუ-ჰეი“ დიდი მნიშვნელობის მატარებელი უნდა იყოს. თუმცა, როგორც ჩანს ქართული პარტიები ამ შესაძლებლობას არ იყენებენ.

**შიდაპარტიულ მმართველობასთან დაკავშირებული ცოდნის გაზიარება-გადაცემის**

ინტერესის ნაკლებობის ერთი პოტენციური ახსნა შეძლება იყოს ფინანსები. მაგალითად, თუკი რომელიმე პოლიტიკური პარტია დაინტერესებულია გაიგოს როგორ კეთდება პოლიტიკა და პარტიები როგორ არიან ინსტიტუციურად ორგანიზებული სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებში, პარტნიორი ევროპარტია ტრენინგებისთვის, სასწავლო ვიზიტებისა თუ ამგვარი აქტივობებისთვის მისთვის ფინანსურ მხარდაჭერას არ უზრუნველყოფს. ამგვარი აქტივობებისთვის ფინანსური რესურსების მობილიზება ადგილობრივი პარტიების პასუხისმგებლობაა. თუმცა, საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების მცირე ფინანსური რესურსების გამო, აღნიშნული ჯერ კიდევ გამონვევად რჩება. „საქართაშორისო გამჭირვალობა საქართველო“-ს მონაცემების მიხედვით,<sup>16</sup> 2012 წლიდან საქართველოში მოქმედმა პოლიტიკურმა პარტიებმა ჯამურად შემონირულობების სახით 105,910,256 ლარი მიიღეს (იხილეთ გრაფიკი 3). შემონირულობების მიმღები პოლიტიკური პარტიების რიცხვის გათვალისწინებით, ეს თანხა საშუალოდ 1,357,824 ლარია ექვს წელზე მეტი პერიოდისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ თითეული პარტია შემონირულობების სახით წლიურად, საშუალოდ, 210,000 ლარზე ნაკლებს იღებს. ცხადია, რომ ეს დიდი თანხა არ არის. სხვა პრობლემაა, როცა ამ შემონირულობების უმეტესი ნაწილი მმართველ პარტიას ეკუთვნის. კერძოდ, ქართულმა ოცნებამ შემონირულობების სახით 50,506,940 ლარი, ანუ მთელი თანხის 48 პროცენტი მიიღო. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა კი 25,196,355 ლარითა და 24 პროცენტით მეორე ადგილზეა. ეს ნიშნავს იმას, 2012-2018 წლების ინდივიდუ-

<sup>13</sup> Shagina, Maria. 2014. The incentive structure of cooperation between the Europarties and the non-EU parties. Paper prepared for the 23rd World Congress of Political Science, IPSA. July 19-24, 2014, Montréal, Canada.

<sup>14</sup> Kakhishvili, Levan. 2018. Competing for Votes of Ethnic Minorities in Georgia: The 2017 local elections. Center for Studies of Ethnicity and Multiculturalism: Tbilisi. ხელმისაწვდომია: [http://csem.ge/wp-content/uploads/2018/06/Competing-for-Votes-of-Ethnic-Minorities\\_Eng.pdf](http://csem.ge/wp-content/uploads/2018/06/Competing-for-Votes-of-Ethnic-Minorities_Eng.pdf)

<sup>15</sup> რადიო თავისუფლება. 2018. გიორგი კვირიკაშვილი: პარტია „ქართული ოცნება“ ინსტიტუციად ჯერ ვერ ჩამოყალიბდა. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/29202252.html>

<sup>16</sup> Transparency International Georgia. 2018. Donations to Georgian political parties. Available at: <https://www.transparency.ge/politicaldonations/en/parties?page=all>


ალური თუ იურიდიული პირებისგან ორმა პოლიტიკურმა პარტიამ ჯამში შემოწირულობების 72 პროცენტი მიიღო. აღნიშნული მონაცემები მიანიშნებს ფაქტზე, რომ შედარებით პატარა პოლიტიკური პარტიები, მაგალითად როგორებიც არიან თავისუფალი დემოკრატები ან რესპუბლიკური პარტია – ორივე ALDE-ს წევრი პარტიაა და უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობა-

ში პოლიტიკური შემოწირულობებით ჯამურად მხოლოდ 5.1 მილიონი ლარი მიიღეს – ნაკლებ სავარაუდოა, რომ ევროკავშირში სასწავლო ვიზიტების თავად დაფინანსებას შეძლებენ. თავის მხრივ, ყველაზე დიდი პოლიტიკური პარტიები, ქართული ოცნება და ნაციონალური მოძრაობა, როგორც ჩანს, ინსტიტუციური განვითარებისა და შიდა დემოკრატიის გარდა სხვა საკითხებითაც არიან დაინტერესებულნი.

გრაფიკი 3: საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების შემოწირულობები, 2012-2018წ.

### შემოწირულობები

- ქართული ოცნება
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
- სახელმწიფო ხალხისთვის
- თავისუფალი დემოკრატები
- დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო
- საქართველო არ იყიდება
- საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
- რესპუბლიკური პარტია
- საქართველოს კონსერვატიული პარტია
- ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა
- ევროპული საქართველო
- ეროვნული ფორუმი
- სხვა პარტიები



## გილა ღეგიტიშვილი და საერთაშორისო კულტურული მემკვიდრეობის მინისტრი

პოლიტიკური აქტორებისთვის საერთაშორისო კავშირებსა თუ ორგანიზაციებში წევრობის ინსტრუმენტალიზება უჩვეულო არ არის. ამიტომ, ადგილობრივ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც თავიანთ პოლიტიკურ თამაშს ორ, შიდა და საერთაშორისო დონეზე თამაშობენ, ხშირად შიდა შეჯიბრებითობა საერთაშორისო დონეზეც გააქვთ, საერთაშორისო მხარდაჭერა კი შიდა კონკურენციაში გადმოაქვთ. ეს სტრატეგია საერთაშორისო აღიარების უფრო მაღალი დონის მიღწევის მიზნით შეიქნა იმისათვის, რომ ერთი მხრივ, გაიზარდოს პარტიის უნარი, ევროპის დონეზე მოახდინოს საერთაშორისო მხარდაჭერის მობილიზება და რომ საერთაშორისო მხარდაჭერა ლეგიტიმაციის წყაროდ გამოიყენოს არამხოლოდ საგარეო პოლიტიკაში სხვა აქტორებისა და ქვეყნების წინააღმდეგ, არამედ ადგილობრივ დონეზეც სხვა პარტიების წინააღმდეგ კონკურენციის დროს. ზემოაღნიშნული ე.წ. “წერილების ომი” იდეალური მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება, რომ ევროპარტიების წევრობის შიდაპოლიტიკური ბრძოლებისთვის ინსტრუმენტალიზება მოხდეს.

აღნიშნული ვარაუდის უკან დგას იდეა, რომ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციისადმი მხადაჭერა მოსახლეობაში მნიშვნელოვნად მაღალია, ამდენად ევროკავშირი და მისი ინსტიტუტები – მათ შორის, ევროპარლამენტი და ევროპარტიები – შეიძლება შიდა ლეგიტიმაციის წყარო იყოს. ყოფილი კომუნისტური საზოგადოებები, განსაკუთრებით ქართული საზოგადოება, ევროპელი კოლეგებისგან დაკვირვებებისა და შეფასებების მოსმენას მიჩვეული არიან. მაგალითად, ყოველი არჩევნების შემდეგ, საქართველოს სამოქალაქო საზო-

გადოება უუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE ODIHR) ანგარიშს ყოველთვის აღელვებით ელის. აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში წარმოებულმა პირობითობის პოლიტიკამ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის ევროკავშირში განევრიანების პირობითობაზე რომ არაფერი ვთქვათ, თავისი წვლილი შეიტანა იმ განწყობის ფორმირებაში, რომ თბილის დასავლეთისგან ინსტრუქციები ესაჭიროება. ეს განწყობა სარგებლის მომტანი შეიძლება იყოს მაშინ, როდესაც სიფრთხილით გამოიყენება, თუმცა სახიფათო შეიძლება გახდეს, როდესაც ბოროტად არის გამოყენებული. თუკი მექანიზმი კარგავს ნდობას ან დემონიზირებულია, აღიარების და ლეგიტიმაციის სტრატეგია მარცხს განიცდის. საქართველოში არსებობენ ამომავალი პოპულისტური ძალები, რომლებიც ამის გაკეთებას ცდილობენ. თუმცა, ეს ცალკე კვლევის საგანია. წინამდებარე ნაშრომის მიზანს რომ დავუბრუნდეთ, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ქართულ პოლიტიკურ ელიტას აქვს მოლოდინი, რომ ქართული საზოგადოება ნდობას გამოუცხადებს ევროპიდან საქართველოს მისამართით გაულერებულ შეფასებებს.

აღნიშნულ მოსაზრებას ერთი პრიბლემა აქვს. შესაძლოა, სამოქალაქო საზოგადოება მართლაც ენდობა ევროპელ ოფიციალურ პირებს და აფასებს იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც ევროპულ ღირებულებებს იზიარებენ. თუმცა სიტუაცია სხვაგვარია, როცა საქმე საშუალო სტატისტიკურ მოქალაქეს ეხება. მონაცემების არარსებობის მიუხედავად, რომელიც იმ ტენდენციის გაანალიზების საშუალებას მოგვცემდა, თუ

რამდენად ენდობა ქართული საზოგადოება ევროპელი ოფიციალური პირების მიერ საქართველოს მისამართით გაკეთებულ განცხადებებს, მანც არის შესაძლებელი დავინახოთ არსებობს თუ არა კავშირი პოლიტიკური პარტიის პოპულარობასა და საზოგადოების აღქმას შორის, რომ მოცემული პოლიტიკური პარტია ევროპულ ღირებულებებს იზიარებს. აღნიშნული შესაძლოა იყოს ის მიახლოებული საზომი, რომელსაც შეუძლია გვანახოს თუ როგორ აღიქვამენ ქართველები კავშირებს ქართულ პარტიებსა და ევროკავშირს ან უფრო ფართოდ, ევროპას შორის.

საზოგადოებრივ განწყობების კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები – რამდენად იზიარებენ ევროპულ ღირებულებებს ქართული პოლიტიკური პარტიები და თუ როგორია მათ მიმართ საზოგადოების განწყობები – რამდენიმე საინტერესო დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. ქვემოთ მოცემული გრაფიკი 4<sup>17</sup> აჩვენებს იმას, თუ რამდენად იზიარებს, საზოგადოების აღქმით, კონკრეტული პოლიტიკური პარტია ევროპულ ღირებულებებს და რა სახის განწყობები აქვს ხალხს მათ მიმართ. აღნიშნულმა მონაცემებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვცეს პარტიის ევროპულ ღირებულებებსა (საზოგადოების აღქმით) და მის დადებით რეიტინგს შორის კავშირზე. პოლიტიკური პარტიის რეიტინგი კომპლექსურ საკითხს წარმოადგენს ისეთ ქვეყანაში როგორიც საქართველოა და შესაძლოა, ციფრები დამაბნეველი იყოს მათთვის, ვისაც არჩევნების შედეგების პროგნოზირება უნდა.<sup>18</sup> თუმცა წინამდებარე ნაშრომი არჩევნებში პარტიების გამარჯვების აღბათობაზე


არ აკეთებს აქცენტს. ამ ანალიზის გაკეთების დროს მთავარი პრობლემაა, თუ რამდენად იქნება შესაძლებელი რაიმე საფუძვლიანი კორელაციის დამყარება ერთი მხრივ პარტიას, რომელიც ევროპულ ღირებულებებს იზიარებს და მეორე მხრივ ამ პარტიისადმი საზოგადოებივ განწყობას შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ციფრები არ არის აუცილებელი, რომ აღწერდნენ იმ დონეს, თუ რეალურად რამდენად იზიარებენ პოლიტიკური პარტიები ევროპულ ღირებულებებს. ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი განწყობა უფრო მნიშვნელოვანია და წინამდებარე ნაშრომის ფოკუსიც სწორედ ეს არის.

გრაფიკ 4-ზე მოცემული მონაცემები აჩვენებს, რომ საზოგადოებაში დაბნეულობის მაღალი დონეა – მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ წყვეტს პარტიები იზიარებენ თუ არა ევროპულ ღირებულებებს. კითხვაზე პასუხად „არ ვიცი“-ს წილი 26 პროცენტიდან 50 პროცენტამდე მერყეობს. პასუხების კატეგორიას „არცერთი“ ასევე დიდი წილი აქვს – 15-დან 28 პროცენტამდე. რაც ორ რამეს შეიძლება ნიშნავდეს. პირველი, საზოგადოება არ არის დარწმუნებული, რეალურად რას ნიშნავს ევროპული ღირებულებები. სწორედ ამიტომაა, რომ ხალხი ვერ პასუხობს ესა თუ ის პარტია იზიარებს თუ არა ევროპულ ღირებულებებს. მეორე, პოლიტიკური პარტიები თავად გამოხატავენ ისეთ კონფლიქტურ ღირებულებებს, რაც მოქალაქეებს ურთულებს დავალებას, გადაწყვიტონ თუ რამდენად იზიარებენ ისინი ევროპულ ღირებულებებს. თუმცა, შესაძლებელია ისიც, რომ ამ ორივე ფაქტორის კომბინაცია ახდენდეს საზოგადოებრივი განწყობების ფორმირებას.

<sup>17</sup> მონაცემებში შემდეგი პარტიები იყო წარმოდგენილი: UNM – ერთანი წაციონალური მოძრაობა; OGF – ჩვენი საქართველო თავისუფალი დემოკრატები; RP – რესპუბლიკური პარტია; GD – ქართული ოცნება; CP – კონსერვატიული პარტია; APG – საქართველოს პატრიოტთა ალანის; NF – ეროვნული ფორუმი; LP – ლეიბორისტული პარტია; IWSG – მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს; DM – დემოკრატიული მოძრაობა.

<sup>18</sup> Gutbrod, Hans, and Dunbar, William, 2016. Corridor of expectations: Georgian Dream ahead, for #GVote16. ხელმისაწვდომია: <https://medium.com/@hansgutbrod/georgian-dream-ahead-according-to-aggregate-estimate-406f2831ebd2#evo0748lz>.

გრაფიკი 4: პოლიტიკური პარტიები და ევროპული ღირებულებები




წყარო: The Caucasus Research Resource Centers. 2015. „Knowledge and attitudes toward the EU in Georgia, 2015“. მოპოვებულია ODA-ს მეშვეობით – <http://caucasusbarometer.org>

შეზღუდული მონაცემების მიუხედავად, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად იზიარებენ ისინი ევროპულ ღირებულებებს მოცემული ათი პოლიტიკური პარტია სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. პარტიების პირველი ჯგუფში შედიან: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (UNM) და ჩვენი საქართველო თავისუფალი დემოკრატები (OGFD), რადგან საზოგადოების მესამედზე მეტს სჯერა, რომ ისინი ევროპულ ღირებულებებს იზიარებენ. მეორე კატეგორია ასევე ორ პარტიას აერთიანებს: რესპუბ-

ლიკური პარტია (RP) და ქართული ოცნება (GD). გამოკითხულთა 25 პროცენტი მიიჩნევს, რომ ისინი ევროპულ ღირებულებებს იზიარებენ. მესამე ჯგუფი კი დანარჩენ პარტიებს აერთიანებს. თუმცა მესამე ჯგუფი, ისეთ ორ პოლიტიკურ პარტიას მოიცავს – მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს (IWSG) და დემოკრატიული მოძრაობა (DM) – რომლებიც გამოკითხულთა 27 და 34 პროცენტისთვის ევროპულ ღირებულებს არ ატარებენ. ეს ორი სიაში ყველაზე მაღლი მაჩვენებელია.

გრაფიკი 5: საზოგადოებრივი განწყობები პოლიტიკური პარტიების მიმართ



წყარო: The Caucasus Research Resource Centers. 2015. „Knowledge and attitudes toward the EU in Georgia, 2015“. მოპოვებულია ODA-ს მეშვეობით - <http://caucasusbarometer.org>

მიუხედავად იმისა, რომ გრაფიკი 5 არ პროგნოზირებს არჩევნების შედეგებს, იგი უჩვენებს, თუ რომელ პარტიას აღიქვამს საზოგადოება დადებითად. გამოკვეთილი პარტიებია: ქართული ოცნება, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, ლეიბორისტული პარტია და დემოკრატიული მოძრაობა. ქართული ოცნება ზემოთ მეორე ჯგუფში კატეგორიზდა. ამ შემთხვევაში მას დადებითი განწყობის წილის იგივე პროცენტული მაჩვენებელი ჰქონდა რაც ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც ორჯერ მეტი გამოკითხულის მიერ მიიჩნევა, რომ ევროპულ ღირებულებებს იზიარებს. პატრიოტთა ალიანსს, ლეიბორისტულ პარტიასა და დემოკრატიულ მოძრაობას დადებითი

განწყობების უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ – 13, 15 და 10 პროცენტი – ვიდრე რესპუბლიკურ პარტიას (10 პროცენტი). იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რესპუბლიკურ პარტიას გამოკითხულთა ორ-სამჯერ მეტი რაოდენობა აღიქვამს პარტიად, რომელიც ევროპულ ღირებულებებს იზიარებს, ვიდრე ამ სამი პარტიიდან რომელიმე, შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც ჩანს, ევროპული ღირებულებები არ არის ის უმთავრესი ფაქტორი, რომელიც პოლიტიკური პარტიების მიმართ სახალხო განწყობების ფორმირებას ახდენს.

წინამდებარე ანალიზის შედეგები აჩვენებს, რომ კონკრეტული პარტიის კავშირე-

ბი (საზოგადოებრივი აღქმების მიხედვით) ევროპასთან განაპირობებს ამ პარტიის პოპულარობას. ამგვარად, გადაჭარბებული იქნებოდა დაგვესკვნა, რომ ევროპარტიასთან აფილიაციას ადგილობრივ დონეზე ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხი მოაქვს. თუმცა, ეჭვგარეშეა, რომ ევროპის დონეზე მხარდაჭერის მობილიზებით ადგილობრივ პარტიებს პოლიტიკური დისკურსის კონკრეტული მიმართულებით წაყვანა, ან ისეთი თემის პრობლემატიზება შეუძლიათ, რომელი იქამდე პრობლემად არ მიიჩნეოდა. შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ლეგიტიმაციის სტრატეგია პრაგმატული იარაღია, რომელიც დიდი სიფრთხილით უნდა იქნას გამოყენებული, რათა მისი შესაძლებლობებით ბოროტად არ ისარგებლონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს შესაძლებლობა, რომ ამ იარაღის შედეგები კონტრპროდუქტიული გახდეს.

განხილვის გარეშე არ უნდა დარჩეს საერთაშორისო აღიარების მნიშვნელობაც. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ახლადარჩეულ ქართულ ოცნებას საერთაშორისო ასპარეზზე, განსაკუთრებით, მაშინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის აქტიური მიდგომებისა და მჭიდრო საერთაშორისო კონტაქტების ფონზე, თავის დამკვიდრება სჭირდებოდა. ერთიან ნაციონალურ მოძრაობას საერთაშორისო დონეზე უპირატესობა ჰქონდა, რადგან ის უკვე იყო EPP-ის წევრი. შესაბამისად, საერთაშორისო მხარდაჭერის მობილიზების მიზნით, ევროპული პარტიების ფედერაციაში წევრობის მნიშვნელობის გასაცნობიერებლად ქართულ ოცნებას დიდი დრო არ დასჭირვებია. ქართული ოცნება შეეუერთდა PES-ს, რომელიც EPP-ის შემდეგ ევროპარლამენტში წარმოდგენილი რიგით მეორე ყველაზე დიდი პარტიაა.

ევროპის პარტიების ფედერაციაში წევრობას ქართული პარტიები ძირითადად საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგის ხელშესაწყობად, საერთაშორისო აღიარებისა და შიდა ლეგიტიმაციის მოპოვების მიზნით იყენებენ, რაც თავის მხრივ, არ გადაითარგმნება საქართველოს ევროპეიზაციის დღის წესრიგში. როგორც ჩანს, ქართული პარტიების ევროპარლამენტში წევრობის უმთავრესი ფუნქცია ევროპულ დონეზე პოლიტიკური მხარდაჭერის მობილიზებაა, თუმცა საკუთარი თავისითვის და არა ქვეყნისთვის. მაგალითად, ერთადერთი რეზოლუცია საქართველოზე, რომელიც ევროპის სახალხო პარტიის ოფიციალურ ვებგვერდზეა ხელმისაწვდომი, 2015 წლის ოქტომბერში მიღებული საგანგებო რეზოლუციაა სახელწოდებით „დემოკრატიის უკუსვლა საქართველოში“.<sup>19</sup> რეზოლუციის მიღება ტელლეკომპანია რუსთავი 2-ის კუთვნილების საკითხის გარშემო მიმდინარე მოვლენებმა განაპირობა, ტელევიზიისა, რომელიც თავის მხრივ, მჭიდროდ ასოცირდება ნაციონალურ მოძრაობასთან. რეზოლუცია „დაუინებით მოუწოდებს, რომ ამ ტენდენციების [პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია, სასამართლოს გადაწყვეტილებების შეზღუდვა და არასათანადო გავლენა] შეცვლის უუნარობა სერიოზულ ზიანს მიაყენებს საქართველოს და ევროპული ერების ოჯახისკენ მისი სვლის პროგრესს.“<sup>20</sup>

სხვა მხრივ, ევროპული მხარდაჭერის გამოყენების წარმატებული შემთხვევებიც ყოფილა. ორ სხვადასხვა დროს, ALDE-მ საქართველოს მხარდასაჭერი რეზოლუციები მიიღო: პირველად, 2008 წლის ოქტომბერში და მეორედ, 2016 წლის ივნისში. პირველი რეზოლუცია აგვისტოს ომის საპასუხოდ იქნა მიღებული და ამბობდა, რომ „რუსეთის შეჭრა და მის მიერ სამხრეთ ოსეთისა და

<sup>19</sup> European People's Party. 2015. The backslicing of democracy in Georgia. Emergency resolution adopted at the EPP Congress, Madrid (Spain), 21st-22<sup>nd</sup> October 2015.

<sup>20</sup> European People's Party. 2015. The backslicing of democracy in Georgia. Emergency resolution adopted at the EPP Congress, Madrid (Spain), 21st-22<sup>nd</sup> October 2015.

აფხაზეთის ოკუპაცია და მათი დამოუკიდებლობის ცალმხრივი აღიარება უნდა დაიგმოს“. ასევე, აღნიშნული განცხადება ყველა მხარეს მოუწოდებდა მოქედებათ სივრცე დიალოგისთვის, რათა კავკასიასა და მის ფარგლებს გარეთაც მშვიდობისთვის მიეღწიათ.<sup>21</sup> ALDE-ს მეორე რეზოლუცია საქართველოსა და უკრაინისთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების საკითხს ეხებოდა. რეზოლუცია

მოუწოდებდა “ევროკავშირის ყველა შესაბამის ინსტიტუტს, უკრაინისა და საქართველოსთვის ვიზების ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით დროული გააწყვეტილება მიიღონ.“<sup>22</sup> ეს ორი რეზოლუცია იმის მაგალითია, თუ როგორ შეიძლება ევროპარტიები ლობირებისთვის და ევროპულ დონეზე საქართველოს ეროვნული ინტერესების მისაღწევად იქნას გამოყენებული.

## გილა პონდურენციასა და თანამშრომლობა დახმარება

ქართულ პარტიებსა და ევროპარტიებს შორის ურთიერთობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეფექტი მომდინარეობს ფაქტიდან, რომ ევროპარტიები დაინტერესებულნი არიან ადგილობრივ დონეზე მათი იდეოლოგიური ორიენტაციის გაძლიერებით. ამ მიზნით, ისინი ხშირად ახალისებენ მათთან აფილირებული პარტიების თანამშრომლობას ან გაერთიანებასაც კი, იმ შემთხვევაში თუკი ასეთი ერთზე მეტი პარტია არსებობს. სხვა საკითხია, თუ რამდენად მიყვებიან რეკომენდაციებს ქართული პარტიები. გასაანალიზებლად ორი შემთხვევაა განსაკუთებით საინტერესო. პირველია, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე პერიოდში ALDE-ს ჩართულობა რესპუბლიკურ პარტიასთან და თავისუფალ დემოკრატებთან. მეორე, დაუფრო წარმატებული შემთხვევა, 2018 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში EPP-ის დახმარებით მიღწეული შეთანხმება ნაციონალურ მოძრაობასა და ევროპულ საქართველოს შორის.

როდესაც თავისუფალმა დემოკრატებმა ქართული ოცნების მმართველი კოალიცია და-

ტოვეს, ბუნდოვანი იყო, რესპუბლიკური პარტიაც მიჰყვებოდა მათ გზას თუ არა. ირაკლი ალასანია, თავისუფალი დემოკრატების მაშინდელი ლიდერი, ქართული ოცნების მთავრობაში თავდაცვის მინისტრის პოზიციას იკავებდა. მისი გადადგომიდან რამდენიმე თვეში, ალასანიას ადგილი რესპუბლიკური პარტიის წევრმა თინათინ ხიდაშელმა დაიკავა. როცა ცხადი გახდა, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ქართული ოცნება მონაწილეობას მიიღებდა როგორც პარტია და არა ბლოკი, რესპუბლიკურ პარტიასაც მოუხდა ქართული ოცნების დატოვება. არსებობს მოსაზრება, რომ იმ დროს ALDE ცდილობდა დაერწმუნებინა თავისუფალი დემოკრატები და რესპუბლიკური პარტია, გაერთიანებულიყვნენ და 2016 წლის არჩევნებში ერთად მიეღოთ მონაწილეობა,<sup>23</sup> რაც ასე არ მოხდა. შედეგად, ორიდან ვერც ერთმა პარტიამ შეძლო პარლამენტში მოსახვედრად 5%-იანი ბარიერის გადალახვა. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებში თავისუფალი დემოკრატებისა და რესპუბლიკულების საარჩევნო ბლოკის შედეგის შეფასება რთულია, მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას,

<sup>21</sup> European Liberal, Democrat and Reform Party. 2008. Response to the conflict in Georgia. Congress in Stockholm, Sweden.

<sup>22</sup> Alliance of Liberals and Democrats of Europe Party. 2016. Visa liberalisation with Ukraine and Georgia. Congress in Vilnius, Lithuania.

<sup>23</sup> Shagina, Maria. 2014. The incentive structure of cooperation between the Europarties and the non-EU parties. Paper prepared for the 23rd World Congress of Political Science, IPSA. July 19-24, 2014, Montréal, Canada.

რომ აღნიშნული ორი პარტიის ხმები ჯამში საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ საქართველოს პარლამენტი ლიბერალური პარტიის გარეშე არ დარჩენილიყო.

2018 წლის ოქტომბერში, საქართველოში ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. საპარლამენტო სისტემაზე ქვეყნის გადასვლის პროცესის დასრულების მიზნით მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებებით, მომავალ პრეზიდენტებს ხალხი აღარ აირჩივს. ამიტომ, ახლა ოპოზიციურ პარტიებს ძალაუფლების ერთი, თუმცა სიმბოლური შტოს მართვის მნიშვნელოვანი შანსი ეძლევათ. რამდენადაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ევროპული საქართველო ყველაზე ძლიერი ოპოზიციური პარტიები არიან და ორივე მათგანი EPP-ს წევრია, ეს უკანასკნელი აღნიშნულ ორ პარტიის თამაშრომლობის მიღწევაში დაეხმარა. EPP-ს შტაბინაში შეთანხმებაზე ხელის მოწერით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ევროპული საქართველო თანხმდებიან, რომ თუ მათი კანდიდატებიდან ერთ-ერთი გავა მეორე რაუნდში, აღნიშნულ

კანდიდატს ორივე პარტიის მხარდაჭერა ექნება. მეტიც, ეს ორი პარტია შეთანხმდა, რომ წინასაარჩევნო კამპანიისას თავს არ დაეხსმებიან ერთმანეთს და არჩევნებში მონაწილეობისთვის ამომრჩევლების მობილიზებას მოახდენენ.<sup>24</sup> შედეგად სახეზეა მდგომარეობა, როდესაც შეთანხმებამ იმომქედა და ევროპულმა საქართველომ რეალურად დაუჭირა მხარი მეორე ტურში გადასულ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს, გრიგოლ ვაშაძეს.<sup>25</sup> ამ შეთანხმებით EPP-მ დაგვანახა, რომ მათი ჩართულობით ერთნაირად მოაზროვნე პარტიებს შორის უფრო ძლიერი თანამშრომლობის მიღწევა შესაძლებელი.

შედეგად, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ევროპარტიებს აქვთ იმის პოტენციალი, რომ გააძლიერონ ის იდეოლოგიური ორიენტაცია, რომელსაც ისინი შიდა პოლიტიკაში უჭერენ მხარს, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება კონკრეტული ქვეყანა არ იყოს ევროკავშირის წევრი სახელმწიფო. ეს რა თქმა უნდა ხანგრძლივი პროცესია და მისი შედეგები ჯერ კიდევ უცნობია.

## დასკვნა

წინამდებარე კვლევის შედეგად ქართულ პარტიებსა და ევროპარტიებს შორის ურთიერთობის რამდნიმე ეფექტი გამოიკვეთა: პარტიის პოლიტიკური პროფილის დახვენა; ცოდნაზე ხელმისაწვდომობა და პარტიული პოლიტიკის ნოუ-ჰაუს გადაცემა; შიდა ლეგიტიმაციის და საერთაშორისო აღიარების მოპოვება; და შიდა კონკურენციასა და თანამშრომლობაში დახმარება. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ჩანს, ქართული პოლიტიკური პარტიებისთვის ყველაზე სასურველი მიზანი, შიდა ლეგიტიმაციას და

საერთაშორისო აღიარებას უკავშირდება. თუმცა, რამდენიმე შემთხვევის არსებობა გვაჩვენებს, თუ როგორ შეიძლება, რომ საერთაშორისო მხარდაჭერა საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვისკენ იყოს მიმართული და არა კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ინტერესებისკენ.

ასევე, გამოჩნდა, რომ ევროპარტიების მხრიდან ადგილობრივი ქართული პარტიებისთვის ცოდნის გადაცემის დიდი პოტენციალი არსებობს. ევროპარტიებს შეუძლიათ

<sup>24</sup> Civil Georgia. 2018. UNM, European Georgia agree to cooperate during presidential polls. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/archives/245978>

<sup>25</sup> Civil Georgia. 2018. Bakradze Admits Defeat, Pledges Support to Vashadze. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/archives/262006>

ქართულ პარტიებს უფრო თანმიმდევრული და ერთიანი იდეოლოგიური პოზიციების ჩამოაყალიბებაში დაეხმარონ. ამ მხრივ საჭიროა ფინანსური რესურსების მოპილიზება, რაც ქართული პარტიებისთვის გამოწვევად რჩება. მიუხედავად ამისა, ეს პროცესი მომავალში შესაძლოა პოტენციური დონორების მიერ იყოს მხარდაჭერილი, ისეთების როგორიცაა მაგალითად გერმანული პოლიტიკური ფონდები. მაგალითისთვის „კონრად ადენაუერის ფონდი“, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს EPP-სთან; „ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი“, რომელიც ლიბერალურ პარტიებთან თანამშრომლობს; ან „ფრიდრიხ ებერტის ფონდი“, რომელსაც მემარცხენე იდეოლოგიური პოზიცია აქვს. თანამშრომლობის ეს შესაძლებლობები ქართული პოლიტიკური პარტიების მიერ ძირითადად არ არის გამოყენებული. ამიტომ კვლევას საჭიროებს ის, თუ რამდენად აქვთ სურვილი ამ პარტიებს, რომ ინსტიტუციურად განვითარდნენ და გამჭირვალე ორგანიზაციებად ჩამოყალიბნენ, მაღალი დონის შიდაპარტიული დემოკრატიით.

დაბოლოს, ჩართულობის და თანამშრომლობის სურვილის გათვალისწინებით, ევროპარტიები შესაძლოა მოქმედებდნენ როგორც აგენტები, რომელთაც საქართველოში კონკრეტული იდეოლოგიური ორიენტაციის გაძლიერების შესაძლებლობა აქვთ. ამის მისაღწევად, აუცილებელი არ არის, რომ

ევროპარტიები მხოლოდ ერთ პოლიტიკურ პარტიასთან მუშობდნენ. მათთვის მნიშვნელოვანია შექმენან ისეთი პირობები, რომელშიც მსგავსი იდეოლოგიური პოზიციების მქონე პარტიებს თანამშრომლობა და ორმხრივად მომგებიანი გარიგებების მიღწევა შეეძლებათ. ეს პოტენციური ეფექტი უფრო მეტად ევროპარტიების მზაობაზე, უნარსა და პოლიტიკურ სურვილზეა დამოკიდებული, ვიდრე საქართველოში ადგილობრივი პარტიების მოთხოვნებზე.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ ევროპული პარტიების ფედერაციებსა და ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის თანამშრომლობა ის პროცესია, რომელიც უფრო ღრმა და ინტენსიური უნდა იყოს, ვიდრე ის ახლა არის. ამ პროცესის წარმატება თითეული აქტორის მხრიდან მხოლოდ პრაგმატულ ხარჯსარგებლიანობის ანალიზე არ არის დამოკიდებული. სოციალური კონსტუქტივიზმის პერსპექტივიდან თუ განვიხილავთ, ამან შესაძლოა რეალური შედეგი გამოიღოს, მაშინაც კი, როცა აქტორებს მათი მიღწევა საერთოდ არ ჰქონიათ განზრახული. ევროპარტიებთან ურთიერთობის მარტივი აქტი სოციალიზაციისა და ნორმების ტრანსფერის შედეგად ქართულ პოლიტიკურ პარტიებს განვითარებასა და ინსტიტუტურიული სტაბილურობის მიღწევაში შეიძლება დაეხმაროს.

## პიპლიტიკაზობა

- Alliance of Liberals and Democrats of Europe Party. 2016. Visa liberalisation with Ukraine and Georgia. Congress in Vilnius, Lithuania.
- Chapel Hill Expert Survey. 2014. მონაცემები ხელმისაწვდომია: <https://www.chesdata.eu/ches-stats/>
- Civil Georgia. 2018. Bakradze Admits Defeat, Pledges Support to Vashadze. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/archives/262006>
- Civil Georgia. 2018. UNM, European Georgia agree to cooperate during presidential polls. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/archives/245978>
- European Liberal, Democrat and Reform Party. 2008. Response to the conflict in Georgia. Congress in Stockholm, Sweden.
- European People's Party. 2015. The backsliding of democracy in Georgia. Emergency resolution adopted at the EPP Congress, Madrid (Spain), 21st-22<sup>nd</sup> October 2015.
- Gutbrod, Hans, and Dunbar, William, 2016. Corridor of expectations: Georgian Dream ahead, for #GVote16. ხელმისაწვდომია: <https://medium.com/@hansgutbrod/georgian-dream-ahead-according-to-aggregate-estimate-406f2831ebd2#.evoo748lz>
- Innes, Abby. 2002. Party competition in postcommunist Europe: The great electoral lottery. Comparative Politics, Vol. 35, No. 1, pp.: 85-104.
- Kakhishvili, Levan. 2017. Is democracy possible without stable political parties? Party politics in Georgia and prospects for democratic consolidation. Tbilisi: Georgian Institute of Politics. ხელმისაწვდომია: <http://gip.ge/6401/>
- Kakhishvili, Levan. 2018. Competing for Votes of Ethnic Minorities in Georgia: The 2017 local elections. Center for Studies of Ethnicity and Multiculturalism: Tbilisi. ხელმისაწვდომია: [http://csem.ge/wp-content/uploads/2018/06/Competing-for-Votes-of-Ethnic-Minorities\\_Eng.pdf](http://csem.ge/wp-content/uploads/2018/06/Competing-for-Votes-of-Ethnic-Minorities_Eng.pdf)
- Kitschelt, Herbert. 1995. Formation of party cleavages in post-communist democracies: Theoretical propositions. Vol 1. No.4 pp.: 447-472.
- Lavrelashvili, Teona. 2017. Georgian parties and the “Euro-Parties~ cooperation, achievements and challenges. Rondeli Foundation. ხელმისაწვდომია: <https://www.gfsis.org/blog/view/770>
- Lipset, Seymour Martin, and Rokkan, Stein. 1990. Cleavage structures, party systems, and voter alignments. In Peter Mair (ed.). The West European Party System. Oxford: Oxford University Press. Pp. 91-111.
- Shagina, Maria. 2014. The incentive structure of cooperation between the Europarties and the non-EU parties. Paper prepared for the 23rd World Congress of Political Science, IPSA July 19-24, 2014, Montréal, Canada.
- The Caucasus Research Resource Centers. 2015. „Knowledge and attitudes toward the EU in Georgia, 2015“. მოპოვებულია ODA-ს მეშვეობით - <http://caucasusbarometer.org>
- Transparency International Georgia. 2018. Donations to Georgian political parties. ხელმისაწვდომია: <https://www.transparency.ge/politicaldonations/en/parties?page=all>

- რადიო თავისუფლება. 2018. გიორგიკვირიკაშვილი: პარტია „ქართული ოცნება“ ინ-სტიტუციად ჯერ ვერ ჩამოყალიბდა. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/29202252.html>
- სივილურჯია. 2012. კოალიცია „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი დეკლარაცია. ხელმისაწვდომია: <https://old.civil.ge/geo/article.php?id=25137&search=>



